			განცხადების ფასი: 1 სტრ. ორ პეტიტით 70 კ.
№ 16 1917	ფასი	ყოველ-ოვადი მეხუთე	
კვირა აპრილის 16	15 კ.	გამოცემისა	

ვალ. გუნია—ოთარ ბეგი

მზის მოლოდინში

1

გათავდა ბრძოლა! დამარცხდა მტერი!
განთავისუფლდა რუსეთის ერი!

2

საქართველოსაც ეცვალა ფერი;
ახლოა, ახლო მზე მშვენიერი!

3

თმენა არ მყოფნის!
გრძნობა მჩქეფარებს!
მზის შესახვედრად სივრცეს გავცქერი!
აღმოსავლეთი წითლად ელვარებს,—
გული მღელვარებს!
თენდება!.. ვმღერი!..



მოქალაქენო! მხარი მიეცით ახალ მთავრობას ! ზურგი გაუმაგრეთ. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

ამხანაგებო!

დამფუძნებელ კრებას უნდა მოსთხოვოთ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია!

ისევ ავტონომიის შესახებ

საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას თვით ჩვენს ამხანაგებში ბევრი ჰყავს მომხრე, მაგრამ ზოგი მათგანის შეხედულებით დღევანდელს პირობებში ავტონომიის წამოყენება ნაადრევია.

ყველა ეს პირობები ჩვენ შეგვიძლია გავყოთ ორ ნაწილათ: ერთ მხარეზე მოექცევა საზოგადო პირობები, რომლებშიაც მთელი რუსეთის ცხოვრება და რევოლუცია სწარმოებს; მეორეზე კერძო ანუ ადგილობრივი პირობები.

ბევრსა ჰგონია, თუ კი რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა დამყარდა, ეროვნული საკითხიც გადაწყდება და ამიტომ ჩვენ მთელი ჩვენი ძალღონით ხელი უნდა შევუწყოთ რევოლუციის გამარჯვებას, კერძო მოთხოვნილებანი კი აღარ უნდა წამოვაყენოთო.

თავისთავათ ცხადია, რომ ყველა ჯგუფმა, ყველა პარტიამ, ყოვლმა ჩვენგანმა ხელი უნდა შეუწყოს უწინარეს ყოვლისა რევოლუციის გამარჯვებას, რადგანაც ამას გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას.

მაგრამ არ უნდა გვავიწყდებოდის, რომ რევოლიუციის გამარჯვება სრულებითაც არ ნიშნავს ამავე დროს ეროვნული კითხვის გადაჭრას.

ეჰვს გარეშეა რევოლუცია საბოლოოთ გაიმარჯვებს და რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა დამყარდება; მაგრამ შესაძლებელია ეროვნული საკითხი ისევ იმ მდგომარეობაში დარჩეს, როგორშიაც დღეს იმყოფება და ჩვენ არავითარი ავტონომია არ მივიღოთ.

რევოლუცია სწყვეტავს საზოგადო კითხვებს, ამყარებს ახალ მართვა-გამგეობას მთელს სახემწიფოში, ახალს კანონებს, ახალ უფლებას; ეროვნული კითხვის გადასაწყვეტად კი ის მხოლოდ ნიადაგსა ჰქმნის.

რევოლიუციის დუღილში ყოველ პატარა ერს უფლება და საშუალება ეძლევა, ზოგად კითხვებთან ერთად კერძო ეროვნული საკითხიც ასე თუ ისე გადასჭრას.

ამიტომ ჩვენ თუ დღესვე არ შევთანხმდით ეროვნულ საკითხში და საერთო ეროვნული გეგმა არ წარვადგინეთ დამფუძნებელი კრების წინაშე, დამფუძნებელი კრება თავისთავად ჩვენ არასფერს არ მოგვცემს. რუსეთში რესპუბლიკა დამყარდება; ჩვენ მივიღებთ ყველა სამოქალაქო უფლებას და ამავე დროს ისეთივე ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლა დაგვჭირდება ავტონომიის მოსაპოვებლად, როგორიც დღეს ირლანდიაშია.

აი ამიტომაც, თუ არ გვინდა ჩავვარდეთ იმგვარ მდგომარეობაში, როგორშიაც ირლანდია იმყოფება, თუ არ გვინდა, მთელი ჩვენი ძალღონე ორმოცსამოცი წლის განმავლობაში ავტონომიის მოპოვებას შევალიოთ დემოკრატიულ რუსეთში, სწორედ დღეს ვე უნდა შეთანხმდენ ჩვენში ყველა პარტიები და შეიმუშაონ საერთო ეროვნული გეგმა.

ამ გვარ შეთანხმებას ითხოვს გონება, მას ეწინააღმდეგება გრძნობა. გრძნობა შეიძლება კარგი იარაღი იყოს საპირადო კითხვებში, პირადი თავმოყვარეობის საქმეში, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი საერო კითხვების

გადაჭრის დროს გრძნობა უნდა უარვყოთ და მივენდოთ მხოლოდ გონიერებას.

რუსეთში სოციალისტრევოლუციონერებს და სოციალდემოკრატებს ისევე სძულდათ ერთმანეთი, როგორც ჩვენში სოციალდემოკრატებსა და ფედერალისტებს.

მათ შორის გრძნობა იმდენათვე იყო გამწვავებული, რამდენათაც ჩვენს შორის. მიუხედევათ ამისა სოციალისტრევოლუციონერების კონფერენციამ უარჰყო გრძნობის გზა და დაადგინა: ჩვენ უნდა შევუერთდეთ სოციალდემოკრატებს და ერთი ძლიერი პარტია შევქნათო.

აი მეტათ ძლიერ იშვიათის გონივრული გარდაწყვეტილება, რომლის წინაშეც ყოველმა ჩვენგანმა ქედი უნდა მოიხაროს.

მთელი პარტია თავისი ხელით, თავისი ნებით საკუთარ სახელსა შლის და უერთდება მეორე პარტიას, რადგანაც ამას ითხოვს მთელი რუსეთის დემოკრატიის კეთილდღეობა.

ჩვენ კი მარტო შეთანხმება ვერ მოგვიხერხებია მხოლოდ ერთ კითხვაში.

ამ შეთანხმებას გონება დაჟინებით ითხოვს, გრძნობა ეწინააღმდეგება მას და ჩვენ უნდა გადავლახოთ გრძნობის საზღვრები.

თუ ვერ გადავლახეთ, თუ დიადი ისტორიული მომენტის წინაშე საბრალო კაცუნებათ დავრჩით, სირცხვილი ჩვენ და მხოლოდ ჩვენ!

გრძნობა ჩვენ შორის განყენებულ მსჯელობას ან პროგრამას კი არ გაუწვავებია, ის გაამწვავა პრაქტიკულმა მოღვაწეობამ, ჩვენებურმა საქმიანობამ.

ჩვენ წარმოვადგენთ პატარა საზოგადოებას, სულ გვაქვს რამდენიმე კულტურული დაწესებულება, რომლის გარშემოც ბრძოლაა მუდამ ატეხილი. თუ ერთმა პარტიამ მოიკალათა შიგ, მეორის წევრებს შიგ ცხვირს აღარ შეაყოფინებს. რაიმე ადგილი რომ გინდოდეთ უსათუოთ პარტიული პატენტია საჭირო.

სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნო, რომ ამ ხრივ ყველაზე მეტი ცოდვა და ბრალი ფედერალისტებს მიუძღვით.

ყოველივე ამან გრძნობა აშალა, სიძულვილი დასთესა, მტრობა ჩამოაგდო მაგრამ ყოველივე ეს დროებით უნდა დავივიწყოთ და ეროვნულ საკითხში შევთანხმდეთ, თორემ ჩავიდენთ საშინელ ცოდვას, რომელსაც ისტორია არასოდეს არ გვაპატიებს და ჩვენს სახელს შეარცხვენს, შეაჩვენებს.

ეროვნული საკითხის წამოყენება რომ ხელს არ უშლის რევოლუციის განვითარებას და გამარჯვებას, ამის შესახებ სხვა წერილებშიაც გამომითქვამს ჩემი მოსაზრებანი.

ყოველი ნაბიჯი თავისუფლებისაკენ გადადგმული, ყოველი გაფართოება თავისუფლებისა რევოლუციას კი არ ასუსტებს, არამედ სიმტკიცეს აძლევს.

დარჩა მეორე საკითხი—ადგილობრივი პირობები.

საქართველოში სცხოვრობენ სომხები, რუსები, თათრები.

როგორ შეჰხედავენ ისინი ჩვენს ავტონომიას?

დემოკრატიულ ნაწილს ამ ერებისას ჩვენი ავტონომიის წინააღმდეგ არაფერი არ ექნება და საჭიროა ამიტომ მათთან მოლაპარაკების გამართვა, მათთან შეთანხმება.

სომხის მსხვილი ბურჟუაზია, რუსი მოხელეები, თათრების ბეგებიც ჩვენი ავტონომიის წინააღმდეგნი იქნებიან.

მაგრამ ამ ერების დემოკრატიის თანხმობით და ჩვენი შინაური შეთანხმებით განმტკიცებულებმა ჩვენ უნდა გადავლახოთ ყოვლგვარი წინააღმდეგობა.

ეპვს გარეშეა, შავრაზმული აგიტაცია იქნება ადგილობრივ ჯარში. ქართველებს გამოყოფა უნდა, საკუთარი მეფეო, მაგრამ ამგვარ შავრაზმულ აგიტაციას უნდა გაუმკლავდენ ქართველი ჯარისკაცები. მათ უნდა აუხილონ თვალები ამხანაგ რუსებსა და დაანახონ, რომ ავტონომია ნიშნავს მხოლოთ ადგილობრივი საქმეების მართვა-გამგეობას რუსეთის მფარველობის ქვეშ და მეტს არასფერს.

თუ დამონებული, ფეხქვეშ გათელილი საქართველო მაინც მუდამ ერთგული იყო

რუსეთისა და გაპირვების დროს არა თუ არ უღალატნია მისთვის, სისხლი არ დაუშურებია, ავტონომიური საქართველო კიდევ უფრო ერთგული იქნება და კიდევ მეტათ შეიყვარებს რუსეთსა და რუსის ხალხს.

ეს კარგათ უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა ჯარისკაცებმა და გენუმარტონ შეკითხვის დროს თავის რუს ამხანაგებს.

არასოდეს არ დადგება ისეთი დრო, რომ საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას მოწინააღმდეგე არა ჰყავდეს; არასოდეს არ დადგება ისეთი დრო, რომ ეს ავტონომია თავისთავათ ჩაგვავარდეს პირში.

მეორეს მხრით ძვირათ მოგვეცემა ასეთი შემთხვევა ავტონომიის მოსაპოებლათ, როგორც ღღეს.

მაშასადამე უკუვაგდოთ შიში, მორიდება, გაუბედაობა, გახურებული გრძნობა, შევთანხმდეთ, დავანებოთ ლაპარაკს თავი და შევუდგეთ საქმეს.

***

გუშინ დახსნა გაზაფხულმა
შევარდნები ტყვეობასა,
მინდვრებსა და მთა-გორებში
იხდიან დიდ დღეობასა.
დაგეშილი ყვავ-ყორნები
აღარსად არ ტრიალებენ,
შემწყვდეულან ჭიუხებში
და მწარე ხმით წრიალებენ.
ნაღვლიანად დაჰყურებენ
დანებსა და სალესავებს,
სხვებისათვის გამზადებულს
სთავაზობენ თავანთ თავებს.
უმანკოთა სისხლის ტბაში
აღარ სცურავს მათი ნავი,
სვავსაც ფრთები დუყრია
და გამხდარა გულსაკლავი...
შევარდნებს რომ აკერიათ
მოწითანო ალის ფერი,
არ გეგონოთ შეკრულ სისხლის
ან ნაფლეთი ან ანაჭერი.
თუ რამ ჰქონდათ მოიშორეს,
სვავთა ცრემლით გაიბანეს,
არც ერთს ღანა არ აღირსეს,
სიკვდილს ისე დამგვანეს.
და იმათ-კი გაზაფხულმა
გულზე ვარდი დააკერა,
წ ღმა შემოატრიალა
უკუ მსრბოლი ბედის წერა.
უთხრა: ნულარ გეშინიათ
ყვავ-ყორნების ამას იქით,
შვება ლხენის სადღეგრძელო
გამოსცალეთ ბროლის ჭიქით.
რა კარგი ხარ გაზაფხულო,
გულ სავსევ და სულით გრძელო,
შავარდნებთან ერთადა მსურს
შევსვა შენიმც სადღეგრძელო.

შოთ მღვიმელი

ტუსაღის ნაამბობი

მეძინა, მაგრამ ძილშიც ვერ მომესვენა... რაღაც საშინელი ღამე იყო, საშინელი!..

ექვსი თვის ციხეში მჯდომს ბევრი ტანჯვა გამომეევლო, მაგრამ ასეთი არასოდეს...

გული მიწუხდა, ველარ ვდგებოდი, თავბრუ მესხმოდა... ბნელოდა, მაგრამ სიბნელესაც გული ერეოდა, რაღაც ირეოდა, ფითრდებოდა. თურმე სინათლის მოახლოვებას გრძნობდა და ითენთებოდა. ამ არეულ ტანჯვაში მეც ვიტანჯებოდი, ვწვალობდი, ვწუხდი...

ის იყო უნდა მეყვირნა, რომ უცებ ეს შავად შემოჭვარტლული კედლები დაიბზარა, გაბზარულებში ამომავალი მზის სხივები ჩოჩქოლ-ცქრიალით შემოიჭრა ჩემს სარკმელში...

წყვდიადმა მწარედ ჩაიკვნესა და სადღაც კუნჭულებში ჩაეცა... ჩემი სარკმელი განათდა, ჩემი სარკმელი გაშუქდა...

გარედან სიცოცხლის სიმღერა მომესმა...

ერთს წუთს მეც გამოვცოცხლდი და მაშინ, მაშინ მთლად აღტაცებული, მთლად გახარებული, სიხარულით აღვსილი ზეზე წამოვარდი და... დახავსებულმა კედლებმაც დაიგრიალა...

შევკრთი და გამომეღვიძა...

ჩემი საკნის კარებს აღებდენ. მე გამოუკვეი-გაშტერებული შევცქეროდი კარებს... სიზმარი მეგონა... მაგრამ უცებ კარები გაიღო და ნაამხანაგარი გიორგი გამოჩნდა:

— ამხანაგო, ქრისტე აღსდგა! მომაძახა მან და გიჟივით მომვარდა... მე გახარებული ზეზე წამოვარდი და ერთმანეთს ჩავეკონენთ...

კოლია გარიეული

მოწოდება

ვალ. გუნიას საიუბილეო კომიტეტმა ასეთი მოწოდება დაუგზავნა სხვა და სხვა დაწესებულებათა და კერძო პირებს.

პატივცემულო მოქალაქე!

დიადია დღევანდელი მომენტი.

რუსეთმა მტკიცე ხელით მაღლა აიფრიალა თავისუფლების დროშა და სხვათა შორის ზედ წაწერა: „ერონგნებათა თავისუფლებაᲐ!

საქართველო კი დიდი ხანია მწუერვალეა მისი დათრგუნვიდი უფლებათა აღდგენისა. მისი თავისუფლების დღეც ეხლა დგება.

ამიტომ ეროვნული ქართველი მოქალაქის მოვალეობა დიასაც კარუფლდა და მრავალფერი შეიქმნა. სწორედ „ასი თავადი უნდა გამოიბას და ასი ეური გამოისხას“ საზოგადოებამ თავის მოვალეობათა პირნათლად აღსასრულებლად და ამ მოვალეობათა შორის არ უნდა დაივიწყოს ისინიც, რომელთაც შეგნებულისა და თვგამოდებული ერონგულ-კულტურული მუშაობით ნიადაგი მოუმზადეს დღევანდელს ჩვენს განთავისუფლების ხანას.

ერთი ასეთი პირონებათაგანი—დაუცხრომელი მებრძოლი და კულტურული მოღვაწე არის

ვალერიან ლევანის ძე გუნია.

იგი ერთი დედა-ბოძთაგანია ქართულის თეატრისა, მოურიდებელი და პირუოვნელი ჟურნალისტი, ფას-დაუდებელი საზოგადო მოღვაწე.

დიდია და მრავალგვარი ვალერიან გუნიას დაწილი სამშობლოს წინაშე:

იგი თუ ერთის ხელით საჭირო და დროზედ მოსწრებულ პიესებსა სწერს, მეორეს ხელით სახალხო, ეველასათვის ხელმისაწვდომ გამოცემებს უძღვება; თუ სცენაზედ რთულსა და პასუხსაგებ როლებს ასრულებს, იმავე დროს საზოგადო ასპარეზზედ უშიშრად გამოდის. ეველა იმ მოგდენათა მამხილებლად და განსასჯელად, რომელნიც მას თავის ქვეყნისთვის საზიანოდ და მავნებელად მიაჩნია.

რეჟისორი და საერთო ხელმძღვანელი თეატრის საქმეთა, მომწყობი და კამგე საერთვნო დღესასწაულებისა და ზეიმებისა, გამომცემელი და რედაქტორი სხვა და სხვა სახალხო ჟურნალგაზეთებისა, იგი მოუცდელი და ერუ პირადი დღეგრძელობისა და ბედნიერებისათვის.

ეოველივე რაც კი მის მადიარ სულსა და გულს გაჩენია, რაც კი მის ძალდონისა და დაუშრეტელ მხნეობის ნაშრომია, რაც მის თავდავიწყებულ გარჯისა და მადიანი დეაწლის ნაყოფი—ეოველივე ეს ოცდა ხუთმეტის წლის განმავლობაში დაუზარებლად მოაქვს ძღვნად და ზვარაკად საზოგადო საამსხვერპლოზე თავის დაჩაგრულის ქვეყნის და უფლება აურიდ ერის ნუგეშსაცემლად, გასამხნევებლად და ასადორძინებლად.

და, რადა თქმა უნდა, მადიერი საამშობლო სწორედ ადეს,—მისი ქვეყნის განთავისუფლების განთიადზე, როდესაც საამეუხარად, თვითონ ჩვენი თავგანწირული მოეჩირნახულე უკვე ჯანგატესილი და დასუსტებული,—საამაგიეროს გადახდას უპირებს.

შარშან საზოგადოებამ და მწერლობამ ერთხმად გადაწეეიტა ვალერიან გუნიას მადლობის დღე შეს ფერის პატივისცემით და ზეიმით ედღესასწაულნა.

ეხლა ეს ზეიმი და დღესასწაული დანიშნულია ქ. ტფილისში შაბათს, 29 აპრილს, ნაშუადღევის პირველ საათზედ სახელმწიფო თეატრში.

მაგრამ მარტო საზეიმო შეკრება და დღესასწაული არ კმარა ჯიდლად ფასდაუდებელი მოღვაწისათვის.

ზეიმის მომწყობს კომიტეტს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას და ქართველ მსახიობთა კორპორაციას აზრად აქვთ, თუ კი ქართველობა ხელს შეუწყობს, თავის დაუძლურებულს მოღვაწე-მოამაგეს თავშესაფარად და საცხოვრებლად მიართვას ქ. ტფილისში სახალხარი, რისთვისაც ამ თავითვე უნდა შესდგეს საჭირო და შესაფერი თანხა სხვადასხვა დაწესებულებათა და კერძო პირთა ნებაყოფლობითი წვლილისაგან.

გაცნობებთ რა ეოველივე ამას, პატივისცემით მოგიწოდებთ თქვენდა შესაფერი მონაწილეობა მიიღოთ ამ ჩვენს საერთო ერონგულ-კულტურულს დღესასწაულში.

წერილები, დეპეშები, მოდოცვები, ფული

და შემოწირულებანი უნდა გამოიგზავნოს ქვემოდ აღნიშნულის მისამართით:

Тифлисъ, почтовый ящ. № 38 Казначею Турашвили Абраму Ильичу.

გლეხის დარდი

(ზეპირ კაზმულემა. ქიზიუში, მიჩუანში ჩაწერილი)

ოლროს ფირი უტკბე არის
  გლეხის ტანჯულ ცხოვრებაზე.
ჩემს დარდს გეტყვით, რაც გადამხდა,
  როს მთავრობის მიველ კარზე.

—

ჯერ ვეწვიე მამასახლისს,
  ქათმების რომ იცის გემო,
დანახვამდის მომაძახა:
  „რა მოგაქვსო ფორე ჩემო?“
ხელცარიელი შევჩივლე,
  ყოფა თუ რამ გამიჭირა.
მან კი უცებ შემაბრუნა
  და პანღური გამიჭირა...

—

სოფლის მწერალს მივაკვლიე,
  იმ მექოთნეს ყოველ საქმის,
კოლოფს ჭკუის და მთავრობის
  ყოველ აზრის, ყოველ ნათქმის.
მკითხა: ფორე, გტანჯავს ბედი?
  შენ სნეული, მე მკურნალი.
ჯორის ნალს *) თუ მომცემ ერთ-ორს,
  მე ვიცი შენი წამალი!“
ჯორის ნალი მე არ მქონდა,
  არ მყოლია რადგან ჯორი,
ეს იწყინა,—„რათ მაცდენო!
  და გამაწნა სილა ორი...

—

ნაიბისკენ **) გავიქეცი,
  გადვუკოცნე მუხლი, ჩექმა.
მარა ისე შემომხედა,
  რომ მეგონა დამკრა მეხმა.
ბოლოს ძალა მოვიკრიბე,
  მოვუყევი ჩემი ჭირი...
შემომბღვირა. „კარგი, მესმის,
  მე საწყლების გასაჭირი?
ხოლო ერთი მითხარ, ფორე,
  გეყოლება უშობელი?“
არა მეთქი, როგორც ვუთხარ,
  ყრონტში მტაცა უცებ ხელი,
და მისს მჯიღთა სიმწრის ძალა
  ახლაც მახსოვს მაშინდელი!

—

მერე ჩვენს მუდირს ***) მივმართე,
  და შევჩივლე ვით ღმერთს მხოლოს.
ყურიც არ უთხოვებია,
  მარა მკვახეთ მკითხა ბოლოს:
„ძროხა თუ გყავს, ან კამეჩი,
  მთელ ზაფხულსა რომ იწველოს?“
არა თქო, ვერ გავუბედე,
  მან არც ჰკის თქმა დამაცალა...
ჯოხი მთუთქა თავში ისე,
  რომ ტყავი გადამაცალა!

—

სიმწარისგან მთელი ძალა
  მოვიკრიბე ჩემი ნების,
ფაშას კარზე ავეტუზე
  რიცხვთა შორის მომჩივნების,
მეც მიმიღო, მომისმინა.
  ბძანა: „გადაგასახლებო,
გლეხები სულ მაბეზღარობთ,
  აი, თქვე ყიამყრალებო!“
არ მოვეშვი, მოვახსენე—
  „ზევით ღმერთი, ქვევით თქვენა,
ან მიბოძეთ სამართალი,
  ან მომჭერით მე მარჯვენა!
ერთობ შემწყრა,—გაწყრომაში
  არ ყოფილა თურმე ხამი.
ბიჭმაც ნება აუსრულა—
  ჩამამტვრია კბილი სამი!

ილია ჭყონია.

უკრაინა

(რუსული პრესიდან)

მეტად უურადსაღებ ამბებს კაზმ. „უტრო როსსია“ (№ 85): „რუსეთის ერთ-ვნებათა შორის,—ამბობს უკრაინელთა საზოგადო კრებაზე ცნობილი ისტორიკოსი ნ. ბ. ვასილენკო,—ებრძოლებს კარდა უველაზედ უფრო

*) ე. ი. ვერცხლის მანათიანი.

**) ძველათ პრისტავს ერქვა.

***) მუდირი—მაზრის უფროსი

შეგვწრიალებული, უფლება — აერიდი ვიუაგვით ჩვენ — უკრაინელები... სტოდიპინი ხომ სრულიად მოსპობას გვიპირებდა... მეტად საკვირველია, რომ ცოტნადი გადაგრჩით.

„აწ გადაუნებულ მთავრობის ბოდიტიკა ერთი მუშა გარეგნიდი ხალხის ხელში იყო; იმ წერტილამდის მიიყვანეს ქვეყანა, რომ ჩვენს ახალგაზდათა შორის სეპარატული აზრებიც კი დაიბადა... მაგრამ დღევანდელმა რევოლიუციამ თვალსაჩინოდ შესცვალა ჩვენი ხალხის ასეთი არა სასურველი ფიქრი“...

მოქალაქე ვასილენკოს აზრი, როგორც საზოგადო მოდვაწისა, ასეთია: მას სწამს, რომ რევოლიუცია საზოგადოდ რუსეთის ეროვნებათ და მათ შორის უკრაინელებსაც ბუნებრივ კალაპოტში ჩაუყენებს. დღეს არსად, გარდა ბოდონეთისა და ისიც იმ უმეცარ ყოფილი მთავრობის მიზეზით, სეპარატული მისწრაფებანი ადარ სუფევს. არც ერთს ეროვნებას სრულიად გამოეთქვა, გაცალკევება რუსეთისაგან არ სურს.

ეროვნებათა სურვილია დარჩეს საერთოდ დიდი რუსეთის დემოკრატულ ფედერატულ რესპუბლიკის განუშორებელ წევრად, როგორც მისი ავტონომიური ერთეული.

„რუსეთთან შეერთების დ�dან, — ამბობს ვასილენკო, — უკრაინა ყოველთვის, მხოლოდ თავის, ძალით წართმეულ ავტონომიურ უფლების დაბრუნებას მოითხოვდა... ვიბრძოლით რა უკრაინელები ჩვენი უფლებისათვის, ამასვე აღვიარებდით რუსეთის ყველა ეროვნებისათვისაც... ჩვენი საზოგადო მოდვაწენი და მათთან ერთად ხალხი, რომელ თავის ნაციონალურ ენასა და უფლას იცავდნენ, ერთსა და იმავე დროს ამასვე მოითხოვდნენ რუსეთის სხვა ერებისათვისაც...

ვასილენკო დარწმუნებულია, რომ გადახალისება, როგორც რუსეთისა, ისე ყველა ეროვნებათა შესაძლებელია არა მარტო რევოლიუციის გზით, არამედ სისტემატიური თანდათანობითი შემოქმედებით. ამიტომაც უკრაინელები მზად არიან დროებითი მთავრობას მხარი დაუჭირონ, რაკი მათ სწამთ, რომ მთავრობა მზად არის უზრუნველყოფოს ყველა ეროვნებანი ავტონომიურის წესწყობილების შემოღებით.

მეორე მოქალაქე ს. ა. ეფრემოვი, ცნობილი მწერალი რუსეთ-უკრაინისა, დახასიათებით შემდეგს ამბობს:

უკრაინის საზოგადოებრივი აზროვნება დამყარებულია „ავტონომიურ კავშირზე“. უკრაინელების პროგრამა, ეროვნული ტერიტორიალური ავტონომია ყველა ეროვნებისა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, რუსეთის დემოკრატიული რესპუბლიკა.. რუსეთი უნდა იქნეს შეკავშირებული რუსეთის ყველა ეროვნებასთან ერთად. უკრაინა ეოველთვის ამ აზრის გარშემო ტრიალებდა და ახლაც ამას აღიარებს მთელი უკრაინა განურჩევლად პარტიისა. „ამ ბალტეფორმას ვაღიარებდით ჩვენ წინად და ასეთის ბალტეფორმითვე წარვსდგებით ჩვენ ახლაც დამეუძნებელი კრების წინაშე“... უკრაინა ასეთს წესწყობილებაში ე. ი. რუსეთის დემოკრატულ რესპუბლიკაში უნდა იქნეს აღჭურვილი სრულის შინაურის თვითმმართველობით, რაც გულისხმობს ეროვნულ შკოლასა და სასამართლოს. ეროვნულისავე თვითმართველობის ფორმას საქალაქო და საერო დებულებებისას, ეკლესიას და სხვა... ეფრემოვი კიდევ უფრო შორს მიდის. მას სურს შექნას სრული ავტონომიური მართველობა უკრაინის ხალხანობისა დიდი რუსეთის საერთაშორისო ფედერაციაში.

ასეთია დახასიათებით უკრაინელთა აზრი და გადაწყვეტილება, რასაც მოწმობს აქვე მოყვანილი დეპეშა 7 აპრილისა:

„უკრაინელთა ეროვნულ კრებაზე მოვიდნენ არა თუ მარტო უკრაინის სოფლებისა და ქალაქების წარმომადგენელნი, არამედ მოვიდნენ პეტროგრადიდან, მოსკოვიდან, ოდესიდან, ნიკოლაევიდან, ტომსკიდან და სხვა შორეულ ქალაქებიდან. კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „ისტორიულ ტრადიციებისა და უკრაინელთა ეროვნულ საჭირეოებების თანამედროვე რეალურ მოთხოვნილებათა მიხედვით უკრაინას მხოლოდ ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომია განამტკიცებს, ჩვენი ხალხის და უკრაინაში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა საჭიროებებს. ასეთ ავტონომიურ მოწყობილობას როგორც უკრაინისას, აგრედვე რუსეთის სხვა ეროვნებათა ავტონომიისას რუსეთის საერთო წყობილებაში სრულს გარანტიას შეიძენს. ამიტომ რუსეთის სახელმწიფოებრივ წყობილების ერთადერთ ფორმად უკრაინელთა კრება ფედერატიულ რესპუბლიკას აღიარებს“.

ჩვენ კი მხოლოდ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ ასეთი ბუნებრივი მოთხოვნილება უკრაინელთა.

ი. რ—ლი

ვალ. გუნია 35 წ. მოღვაწეობის შესრულების გამო

(დღესასწაული გაიმართება აპრილის 29)



1915 წ. 1890 წ. 1907 წ.

ლექსი

ჩაწერილი ქართველ მაჰმადიან ხასან გელიაძის მიერ **)

ქალო თავადო, ერქვალო, ხელმწიფის მოედნისებრო
თავზე ნაწნავო ლამაზო, ოქროს სირმებისებრო,
იქით და აქეთ წარბებო, ზღვაში გველეშაპისებრო,
აქეთ და იქით თვალებო, შუქურ ვარსკვლავისაებრო,
იქით და აქეთ ყურებო, გაშლილი ვარდებისებრო,
აქეთ და იქით ლოყებო, ყირმიზის ვარდებისებრო,
ზედ რომ ცხვირი მოსხმულია კართოფილის სანთლისებრო,
მაზედ ტუჩებო ლამაზო, ლამაზ გულიაღისებრო; *)
შიგ კბილები ამოსულა საწერათ სადაფისებრო,
შიგ რომ ენა დაგიგორავს—ბიონში კალმახისებრო,
ყალო ასული სწორად ხარ, გაზრდილი ალვის ხისებრო,
იქით და აქეთ მკლავებო, ჩამოქნილ კელაპტრისებრო,
ხელებო—ვერცხლის წკეპლებო, თითებო მათრახისებრო,
იქით და აქეთ მკერდებო, ჩანგურის ალყებისებრო,
აქეთ და იქეთ ძუძუნი, ყირმიზის ვაშლებისებრო,
ქვევით მუცელო ლამაზო, მინდვრის ყაყაჩოისებრო,
ზედ რომ ჭიპი ამოსულა ცისკრის ვარსკვლავისაებრო)

— — — — — — — — — — —

— — — — — — — — — — —

აქეთ და იქეთ წვივებო ვერცხლისა ნატეხებისებრო,
მაზედ კოჭო და სახსარო, გამხდარი კანჯარისებრო,
გაგოგება რად გჭირია—ამომავალი მზისებრო...

ხასან გელიაძე

---

*) გულიაღი ლალის მავარი ფერია.

**) ეს ლექსი უძღვნია ერთ ღარიბ ქართველ მაპმადიან ყმაწვილს ერთი ბეგის ლამაზ ქალი ათვის; ეს ქალი განთქმული ყოფილა სილამაზით, ბევრს კარგ ყმაწვილს უთქვამს ცოლობაზე უარი, შემდგ ასეთი წინადადება მიუცია საქმროებისათვის: ვინც და წყებს და შემამკობს თავ დან ფეხებამდე ლექსით, იმას წავყვებიო. ეს აუსრულებია ხსენებულ ყმაწვილს და კიდევაც წაყოლია მას ბეგის ლამაზი ქალი. ასეთია ძველი გადმოცემა. ხასან გულიაძე.

შალვა დადიანი.

გუშინდელნი

კომედია 3 მოქმედებათ შალვა დადიანისა*).

მოქმედნი:

მალხაზ პინტრიშა, მამასახლისი.
კეკელა, მისი ცოლი.
აგრაფინა, **ადიკო** } ამათი შვილები.
პაპუნა პინტრიშაძე, მალხაზის ბიძა.
ჯიბო კვანტრიშვილი, მამასახლისის მოწინააღმდეგე.
დათია, ამისი მოამხრე.
თავადი კოწია.
მისი კნეინა.
ფაცია, მათი შვილი.
კარლო ყაყუტაძე.
გენერალი ბურდოსანი.
კნ. ჩიტუნია.
„ფოფოდია“.
მაზრის უფროსი.
პრისტავი ჩალიანი.
თ-დი გორგასლანი, **ჯვებე ქილორდავა** } „სტრაუნიკები“
სტუმრები, გლეხები, მსახურნი.

მოქმედება სწარმოებს ჩვენში, ჩვენ რდოს.

მოქმედება პირველი.

მამასახლისის ოდის აივანი. ზაფხულია. კეკლუცი სანახაობა. მთები. მოშორებით ძველი ციხის ნანგრევი. უფრო ახლოს მოსჩანს ორ-სართულიანი კიბეჩ-მონგრეული სასწავლებელი და გუმბათ-გადმომტვრეული ეკლესია. აივანზე იქით-აქეთ კუთხეებში ხალიჩა გადაფარებული ტახტი დგას. შუაზე დიდი, სასადილო მაგიდა, ზედ მუშამბა აქვს გადაფარებული. მაგიდის ზემოთ, ჭერში ჩვეულებრივი, შუშის ფ ნარია ჩამოკიდებული, შიგ ნავთის ლამპარია შედგმული. ირგვლივ მაგიდას-კი სელის სკამები ულაგია.

ა

კეკელა, პაპუნა (მაგიდას უსხედან)

პაპუნა. ჰო და არ ვარგა, შენ არ მოგიკვდე, არ ვარგა ასე. რამდენჯერ უთხარი, რომ არ დეიჯერა?

კეკელა. ეჰ, თავის ნათქვამი კაცია ჩემი მალხაზი. აქამდი რავა ვერ გეიგე, ბეჩა პაპუნა.

პაპ. გევიგე რა?.. როცა სოფელი მამასახლისათ ირჩევდა, იმიტომ გადავდევით ყველამ თავი, რომ ეს პირველი მაგალითი იყო — ასე თუ ისე ნასტავლი კაცი მამასახილათ დაგვეყენებინა...

კეკ. ნეტაი, შენის კარგა ყოფნით, სულაც არ ამოგერჩიათ... უსიამოვნობის მეტი რა შეხვდა.

პაპ. საზოგადოების სამსახური ეგეთია, ქალო... ვინმე მომდურავი რომ არ დაგრჩეს არ შეიძლება, მაგრამ...

კეკ. ეჰ, გენაცვალე!.. აქ არის და ეს კვანტროშვილები მოიმდურა, მოიმდურა... სოფელი ორათ არის გაყოფილი. ზოგი ჩემ ქმარს ემხრობა და ზოგი კვანტრიშვილებს... ახლა კიდე მთავრობაც ცუდი თვალით უცქერის...

პაპ. არა, მაგისი არ მეშინია. ჩემი მალხაზი მეტად ჭკუიანი კაცია, ნასტავლიც არის და მთავრობასთან იცის რავარც მეიქცეს, მაგრამ მე გულს ის მტკენს, რომ აქამდის არ იქნა და ვერც ამ ეკლესიის განახლება მოახერხა, ვერც ამ უბედური სასწავლებლის გადაწყვეტა რამე... გადავყევით, ბატონო!.. შენი თქმის არ იყოს, სოფელი ერთი მეორეს შეჯახებული ვართ...

კეკ. შენი ბრალიც კია, პაპუნა ჩემო... რომ გადაეკიდე იმ კვანტრიშვილებს... არ იქნება, სასწავლებელს ვერ დაგანებებთო...

პაპ. ერიჰა... ახირებული ხარ, კეკელა არ მომიკვდეს... ცხვირის წინ, ეზოში სასწავლებელი გვქონდა და ახლა რაცხა, სოფლის განაპირას, კვანტრიშვილებს უნდა დავანებო?

კეკ. არ დაანებეთ, ბატონო და აი... არის აგერ კიბე ჩამომტვრეული და სახურავ-გადახდილი...

პაპ. ჰო და მაგას ვემდურით შენ ქმარს, მამასახლისი კაცია... გავლენა უშველებელი აქვს... არ იქნა და მთავრობას ვერ მოახერხებინა, რომ სასწავლებელი ჩვენთვის დეეტოვებია...

---

*) ეს პიესა დაწერილია 1917 წლის იანვარში და პირველად წარმოდგენილია ავტორის საბენეფისოდ 12 თებერვალს ქ. პაქოს სცენაზე „საზოგადო საქმის“ სათაურით, რადგან პიესა მაშინდელ ცენზურაში გატარებული არ იყო. რედაქცია.

კეკ. იქამდე მიიყვანეთ საქმე, რომ ახლა, მგონია, თვითონ სოფელსაც აღარ უნდა სასწავლებელი... საცა უნდათ იქ წეიღონო.

პაპ. რას ამბობ, ჩემო რძალო! ჩვენი სოფელი იტყვის სტავლა არ გვინდაო? ვაი დედასა! ერთ დროს ჩვენი სოფლისთანა მოწინავე სოფელი არც კი იყო ამ მხარეზე. აბა ერთი ჩამოთვალე ჩვენდენი ნასტავლი ახალგაზდობა რომელ სოფელს ყავს?

კეკ. ნასტავლი თვარა!.. ეგერ კარლო ყაყუტაძე რომაა, იმისთანა თუ გვეყოლა, აგვაშენებს...

პაპ. ოჰ, ის შე კაცო, ცოციალისტია, ვინ არ იცის მისი ამბავი...

კეკ. ჩამობძანებულა ახლა და კიდევ აგვიმტუტებს სოფელს...

პაპ. არა! ახლა ძალიან მოთოკილია თურმე.

კეკ. ნეტაი, სულ გოუნთავისუფლებიათ?

პაპ. სულ. ახლა აღარაფერი ეხება თურმე. მაგრამ მე მაგისთანებზე არ ვამბობ. ეგერ სიკოს შვილი... იცი, მალე მიროვი სუდიათ დანიშნავენ თურმე. ელიზბარის ვაჟი კარგა ხანია ნატარიუსია. ლადიმერი ხომ რამდენი წელიწადია „სუდებნი პრისტავათ" არი... რომელი ერთი ჩამოვთვალო... დაწინაურებული ახალგაზდები გვყავს... ახლა კიდე ჩვენი საერთო იმედი, შენი ვაჟიც მოგვემატა. მართლა, რაც ჩამევიდა ჯერ კი არ მინახავს... რავარია?

კეკ. ენაცვალოს იმას დედა. რა უჭირს, კარგათ არის, მაგრამ იცი, პაპუნა? თითქოს ხასიათი სულ გამოცვლია...

პაპ. შე დალოცვილო, ორი წელიწადი არ ჩამოსულა კაცი.. ზაფხულიც იქ, რუსეთში გაატარა... და დავაჟკაცდებოდა, გამეიცვლებოდა.

კეკ. რა ვიცი, გენაცვალე. უწინ იყო და გიმნაზია რომ დაასრულა, სულ იმ წიგნებს ჩასჩიჩინებდა, თავს ზეით არ იღებდა და თუ ვინმესთან წევიდოდა, ისევ იმ შეჩვენებულ კარლო ყაყუტაძესთან მიდიოდა. მეშინოდა არ გამიცოციალისტოს მეთქინ. ახლა არი და რის წიგნები, რას ამბობ!.. სულ მუდამ ჩხუბი აქვთ ამაზე იმას და მის დას, ჩემს აგრაფენას... აგრაფენა ხომ იცი რა ქალიც დადგა...

პაპ. ო, ანგელოზი ბოვშია სწორეო...

კეკ. ჰო და ახლა ჩემი ადიკო დილაზე რომ წამოდგება, მაშინვე საბანაოთ მიდის. მერე მოვა და სულ რაღაცა მალაყებს აკეთებს, მკლავებს ატრიალებს, ბიჭებთან ჭიდაობს. არ გინახავს რა ჩაცმულია?.. დედიშობილაო რომ იტყვიან, სწორეთ ის არის. ჩოუცვამს რაცხა ჭრელი პერანგი, სახელოები მოკლე, წამკლავებულია, მკერდი მოღიავებული, თავშიშველი, ვეუბნები: ბიჭო, გაცივდები ან რას გავს ასე სიარული-მეთქინ. ქუდი მაინც დეიხურე, მზე მოგეკიდება, დაგწვავს-მეთქინ. შენც არ მომიკვდე! დარბის და დაკვინტრიშობს. ახლა კიდევ იმ კნიაჟნას, უქნარაძის ქალს გადეეკიდა...

პაპ. ოო, კოწიას ქალს, ფაციას?

კეკ. აბა?.. სულ ერთად არიან. ხან ტყეში, ხან ღრეში... რა ვიცი! უფრო კი ჩვენ ციხე-ბურჯთან. იქიდანო, ლამაზი გადმოსახედავიაო.

პაპ. შენ შეხედე ადიკოს!..

კეკ. ვეუბნები: ბიჭო რას გადაკიდებიხარ მაგ კნიაჟნას, რა შენი საქმეა... ან მარტო ახლა ნახე, რა ღმერთი გაგიწყრა... ბოვშობაში თითქის ერთად ხართ შეზრდილი-მეთქინ.

პაპ. მართლა, თითქმის ერთად არ არიან შეზრდილნი?

კეკ. მერე იცი რას მეუბნება?.. დედა, კნიაჟნა გაკეთებულა, დამშვენებულა, მომწონს ძალიანო... ურცხვი გამხდარა, ურცხვი ის საძაგელი ბიჭი.

პაპ. ეს ვერაფერი მითხარი, შენ მომიკვდე... იცი კნიაჟნა რა ახტაჯანაა!..

კეკ. ეჰ, როგორ არ ვიცი. სულ ჩვენსა არ აგდია მთელი მათი ოჯახი?

პაპ. საწყლები, რავა გალატაკდენ...

კეკ იცი, პაპუნა ჩემო? ჭადი არა აქ სახლში, ჭადი იმსაწყალ კოწიას...

პაპ. რავა არ ვიცი! მაგრამ ისე კი ძალიან იბღინძებიან ისევე...

კეკ. იი, ამპარტავნება და სიამაყე თუ.. გოდრით, გოდრით! მოაწევს თუ არა სადილობის დრო, განსაკუთრებით კვირა დღეობით, გვევ ხედავთ და თავადი კოწია მისი უკვდავი ჯორით მოადგება ჩვენ ეზოს... მერე, ვითომ

ნასადილევი, მობრძანდება მისი კნეინაც .. მაგრამ სადილზე კი შემოგვისწრებს... აი იქით, აი აქეთ... პირველ ხანებზე ძალიან უარზეა, მაგრამ მერე, იცოცხლე... ისე მიირთმევს, რომ რა გითხრა... და მათი ქალი ფაცია ხომ ამ ზაფხულს მაინც, ღამეს არ ათევს ჩვენთან, თვარა, სულ აქაა.

პაპ. ეჰ, მაგ ოჯახის ამბავი რავა არ ვიცი... ეგ კოწია სომ მარტო თქვენთან არ დეიარება სადილათ. მთელი სოფელი შეჯერებული ყავს. დილით მოაჯდება თუ არა თავის ჯორს, მთელი სოფელი უნდა შამეიაროს, ყველგან უნდა მივიდეს, ყველაფერი გაიგოს. ჩვენთანაც, პინტრიშაძეებთანაც დეიარება და კვანტრიშეილებშიაც.

კეკ. ოო, რა მეჭორეა, რა მეჭორე!

პაპ. პირდაპირ ცოცხალი გაზეთია...

კეკ. ახლა საცაა გაჩნდება. დღეს ხომ კვირეა და... აბა ერთი გადახედე...

პაპ. (აივანზე გადახედავს) ძაღლი ხსენებაზეო... ჰა, ჰა! მოჩაქჩაქებს მისი ჯორით.

კეკ. ო, რა ლაქუცაა! აქ ჩემ ქმარს ეფერება და იქ კი ძირს უთხრის...

პაპ. ეეჰ მაგას რა შეუძლია. ვინ რას გოუგონბეს.

კოწიას ხმა(გარედან): მასპინძელო, მასპინძელო! შინა ხართ?

პაპ. (გადასძახებს) მობრძანდით, თავადო კოწია, მობრძანდით! შინ გახლავართ. ბიჭო, ჯოხი ჩამოართვი კნიაზს.

კეკ. ეჰე, მოვა ახლა და დაგვიწყებს მისი მადნის ამბავს.

პაპ. მართლა, მადანი გამოუჩნდათ მგონია ყოროლის მთებში.

კეკ. ეჰ, რა ვიცი, გენაცვალე! აგერ რამდენი ხანია მე და შენ ქვეყნათ ვცხოვრობთ და მაგათგან სულ მაგ მადნის ამბავი გვესმის.

პაპ. ჰოო, მუდამ ჯიბით დაათრევს მადნებს.—მაგრამ ახლა საკუთრათ მაგათ გამოჩენიათ...

კეკ. სუუ, კიბეზე ამევიდა. (წ მოდგება მისაგებებლათ)

ბ

პაპ. მობრძანდით, კნიაზ, მობრძანდით..

კოწია. (ახმახი, ჯადარა-შერთული, ძალიან დარიბული ჩოხა-ახალუხით, წელზე უზარ მაზარი ხანჯალი ჭკიდია) ვახლავართ ჩემ საყვარელ კეკელას... ჰაი გიდი, რა გადაბდღიალებული ხარ ისევ... (ხელს ართმევს)

კეკ. უი, შენ კი რა გითხრა?

კოწ. გამარჯობა, პაპუნა. (ხელს ართმევს. კეკეულს) მამა ჩემი არ წამიწყდეს გასათხოვარი ახლა ხარ...

პაპ. (იდიმება) კნიაზო, კიდე არ მეიშალე ხუმრობა?

კოწ. რისი ხუმრობაო, კაცო, არ გახსოვს... კუდიკუდში დავდევდი კეკელას... ძაგრამ მაჯობა ყაზილარმა მალხაზამ... ვერ გაჭრა ჩემმა თავადიშვილობამ...

პაპ. მართლა, კეკელა! მამა შენი ძველი აზნაუშვილი იყო და კი უნდოდა კნიაზისთვის მიეთხოვებინე.

კოწ. როგორ არა, მაგრამ მალხაზა ჩემზე შეძლებული იყო და...

კეკ. (კოწიას) ეჰ, კარგი ერთი, მამა შენი ნუ წაგიწყდება. რა დროს ჩვენი ხუნტრუცია?

კოწ. არა, მეც წავხდი ყაზახი... რაღაცის მომერიდა. ეს დრო მქონოდა?.. რის შეძლებაო, მალხაზა რავა მაჯობებდა... ჩემი ამბავი ხომ გეიგეთ?

(ამ სიუბრის დროს ეველანი სხდებიან)

კეკ. }
პაპ. } (ერთად) რომელი ამბავი, ბატონო?

კოწ. მადანი რომ გამომიჩნდა?

პაპ. ჰოო,.. მადანი! დალოცვილო, სულ ამ მადნების საქმეში არ ხარ შენი დღენი?

კოწ. არა, შენ არ მომიკვდე...

კეკ. აი, ის თქვენ მთებში რომ გამოჩნდა?

კოწ. კი შენ ნუ მომიკვდე... აგერ არ მაქ!.. (ამოიღებს ჯიბიდან სხვადასხვა მადნეულს და აწყობს დიდ-მაგიდაზე ერთ-ერთს უჩვენებს). აა, ესაა... ბარიტია, ნამდვილი, ხალასი ბარიტი.. (კეკეულს და პაპუნა სინჯავენ) ამ კვირეში აშრაფიანი იყო ჩემთან.-აი სომეხი რომაა, ფადრიაჩიკი... ოო, მდიდარი კაცია საშინელი. მყავდა ადგილებზე. ძალიან მეეწონა, კანტრაბტითაც შევეკარით მე და ჩემი მონაწილეები 30 წლით. ამ კვირეში ინჟინერი უნდა მეიყვანოს და მუშაობას შეუდგება კიდეც.

კეკ. კაი დაგემართოს, კაი ამბავია!

პაპ. შენ მომიკვდე, ეს ძალიან საქმე დაგმართია... რავდენათ გოურიგდათ, ბატონო?

კოწ. (წელში გაიმართება, კმაყოფილის სახით) ყოველ გამომუშავებულ ფუთზე, ბატონო, ალაგობრივ სამი კაპეიკი უნდა მოგვეცეს...

კეკ. მერე ბევრია, ბატონო, ეგ მადანი?

კოწია. იმე, რას მიბრძანებ, კეკელა?! ბევრი კი არა, ჩემი შვილი და შვილი-შვილი ვერ გამოლევს იმდენია. მთაა, ბატონო, უზარ-მაზარი მთა. ხუთი ვერსი სიგრძე აქ და ორი ვერსი განე.

პაპ. მე კი არ ვყოფილვარ, ბატონო, იმ თქვენ მთაში...

კეკ. კაი ყოფილა, შენ მომიკვდე...

კოწ. პეტერე, ორიოდე გროში დამიტოვა ახლა აშრაფიანმა და... (თითქო ხუმრობით) ახლა კი მიფრთხილდით, თქვე-მუჟიკებო.., არა, ქალბატონზე არ მოგახსენებ. ეგ თქვენ გაგვიმუჟიკეთ, თუარა... თქვენ კი გაჩვენებთ სეირს, ვინ უფრო იქნება შეძლებული...

პაპ. თავადებს, ბატონო, ღმერთი გწყალობთ. იმდენი რამე კი დოუტოვებია თქვენ წინაპარს... რომ გგონია, ეხლა კი დეიღუპაო, სწორეთ მაშინ გამოგიჩთებათ ან მადანი, ან ტყე, ან რაცხა ჯანდაბა და...

კოწ. აბა, როგორ გგონიათ!.. თუ არ მოვკდი, ახლა კი დოუტოვებ ჩემ ქალს ფაციას კირგ სამემკვიდროს... ფულები თუ სულ ჩეჩქივით. მართლა, ღმერთი არ გოუწყრეს იმ თქვენ ტინგიცა ბიჭს ადიკოს... რაცხ სულ ფაციას დასდევს და...

კეკ. (სიბე მოედუშება) ეეჰ, კარგია ერთი, მამა ნუ წაგიწყდება.

კოწ. არა... მე კი არ ვიწუნებ... გლეხია მართალია, მაგრამ ნასწავლია... ამდენი კი მესმის, მხოლოდ... ხელი ფაფას! —თავს გოუტეხს უბედურს ჩემი ფაცია...მოკლავს შენ მომიკვდე...

კეკ. რავა გეკადრება, ბატონო...რა ადიკოს საქმეა თქვენი ქალი... კნიაჟნაა. ახლა კიდე თუ მართლა ამდენი სამემკვიდროც დარჩა...

კოწ. არ გეხუმრები, შენ ნუ მომიკვდე.

პაპ. (ამასობაში მადნეულს სინჯავდა) ეს რაღაა, ბატონო კოწია?

პაპ. (სახეზე სიხარული გადაეფინება) ოო, ეგ არის, რაც არის...ეგ, ჩემო ძმაო, ვერცხლის მადანია...

პაპ. უმ.. ვერხლი კი არა...

კოწ. შენ მომიკვდე!.. მაგრამ ვერ გეტყვი სად არის...ეგ მე ალმოვაჩინე—ეს კიდე ოხრაა, საღებავი, კაცო... ვერ წარმოიდგენ რა ფასი ჰქონია.

(გაგრძელება იქნება)

„უ ი ქ ა ა!“

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 15)

„სუდიები“ განუწყვეტლივ არჩევდნენ საქმეებს. მრავალმა მოწმებმა მიიღეს ფიცი. წარმოითქვა მრავალი ადვოკატების ლამაზა სიტყვები. ზოგი ციმბირს გაიგზავნა, ზოგი კატორგაში. საქმე საქმეზედ ირჩეოდა, მაგრამ კნ. მართას და არტემას საქმე არსად სჩანდა. კნეინა არ სწუხდა, უთუოდ ამ საქმეს ცალკე, აუჩქარებლივ გაარჩევენ. მაინცა და მაინც კეთილშობილი წრიდან არის მოჩივარი, განსაკუთრებით ყურადღებას მიაქცევენ. ელოდნენ კნეინა და სოსია, მოშივდათ კიდეც, უკვე მესამე საათი იწყებოდა, და საქმე კი არსადა სჩანდა.

— რა ვქნა, ძეწკვებს რად იხსნიან, ფიქრობდა კნეინა. იქნება უნდა შეისვენონ და შემდეგ განსაკუთრებით გაარჩიონ ჩემი საქმე. მაგრამ არა, რაღაც ისე წამოიშალნენ, რომ თითქოს გაათავეს ყველაფერი. აგერ, ადვოკატებიც ეთხოვებიან. ღმერთო ჩემო! ეს რა ამბავია?! ჩემი საქმე ღა?!

— სოსი, ერთი გაიგე რამე.

— ქალბატონო, მე რა ვიცი ვისა ვკითხო. მამაჩემი არ იყო მარშალი და დედაჩემი ნაჩალნიცა, აბა რა ვიცი. თუ მიბრძანებთ, იქიდგან მოუვლი, არავის არ გაუშვებ, მანამ არ გაარჩევენ ე ჩვენ საქმეს, ეგ შემიძლიან. გიახლოთ?

— რას მიედ-მოედები, კაცო! ეგ როგორ იქნება?!. ქა, მიდიან!.. ბატონო, სუდო! სად მიბრძანდებით? ჩემი საქმე ლა?!.

მთელი ზალა მოტრიალდა. ყველა სმენად გადაიქცა. პროკურორი და სუდიები დააცქერდნენ იმ მხარეს, საიდგანაც ხმა იყო.

— წინ წამოდექით, რომელი ბძანდებით? მიმართა მთარგმნელმა: რომელ საქმეზე ბძანებთ?

კნეინა გაეშურა წინ, სოსიაც თან გაჰყვა: რა ვიცით, იქნება ჩხუბი ჩავარდეს, და ვაი იმის ბრალი, ვინც ჩემ კნეინას აწყენინებს, ფიქრობდა ზორბა, ლონიერი სოსია და თან მხრებს ისწორებდა. კნეინა ცოტა აენთო. კავები გაისწორა.

— როგორ თუ რომელი საქმე?!. უწყებებს მიგზავნით და ახლა მეკითხებით, რომელი საქმეო?!.

— გვიბოძეთ უწყება.

კნეინამ ქართულ კაბის ჯიბიდან გამოიღო უწყება და გადასცა ხანში შესულს უფროს მსაჯულს.

ამ უკანასკნელმა გაიკეთა სათვალეები, გადაავლო თვალი უწყებას, აქეთ-იქით ამხანაგებს და პროკურორს რაღაც ჩაულიმა და უწყება თავის ქნევით დაუბრუნა მთარგმნელს ბრძანებით. „წაუკითხეთ და აუხსენით კნეინას“.

— კნეინავ, თქვენ აქ რად მობრძანებულხართ? თქვენ ამ უწყებით დაბარებული ხართ ერთი თვის შემდეგ ქო-ლოს „მიროვოი სუდში“, წაიკითხავდით მაინც.

— თქვენ ყმაწვილო, რაებს ლაპარაკობთ?! ყარაულმა მოიტანა უწყება და თანაც გვითხრა: ს—ში ოკრუჟნი სუდი მოვიდაო. და ამ დანთხეულმა არტელამ უკანასკნელად რომ წააგო მიროვოი სუდში, ხომ გადაიტანა საქმე „ოკრუჟნი სუდში“. მეც უწყება მომიტანეს გუშინ, თანაც მითხრეს „ოკრუჟნი სუდიც“ მოვიდაო. რაღა წაკითხვა მინდოდა.

— დიახ კნეინავ, საქმე კი იყო გადატანილი „ოკრუჟნი სუდში“, მაგრამ „ოკრუჟნის სუდმა“ დაადგინა ისევ დაუბრუნდეს ქო-ლოს „მიროვოი სუდს“ ახლად გასარჩევად და აი ეს უწყებაც ქო ლოდან არის გამოგზავნილი, წაიკითხავდით.

— კიდევ! წაიკითხავდით. მამა გიცხონდათ თავი დამანებეთ. ან მე თქვენ რას გელაპარაკებით, ვიღაც პერევოჩიკს... ბატონო, სუდო! გთხოვთ გაარჩიოთ ჩემი საქმე. კამეჩები ძლივს ვიშოვე, მეორედ ველარ ამოვალ, აი კაცსაც ჰკითხეთ. რამოდენა ირბინა ამ საქმიანობის დროს, მინამ საქონელი იშოვა.

— დიახ, ბატონო, ყველაფა ეხლა საქმეშია, დაიწყო სოსიამ: ძლივს ვიქირავე.

— ბატონო თავმჯდომარე, გთხოვთ შესწყვიტოთ ბაასი და გაარჩიოთ ჩემი საქმე. მე ნებას ვერ მოგცემთ.

— ვა, ვა! რა ყოფილა, გაისმა ზალაში.

— **Передайте княгинѣ, что засѣданіе закрыто,** სთქვა თავმჯდომარემ და გასწია კარებისაკენ. დანარჩენებიც მას აედევნენ, დარბაზიც წამოიშალა და ყველანი წავიდ-წამოვიდნენ.

კნეინა ავიდა ესტრადაზე და შეიხედა ოთახში, სადაც შევიდნენ „სუდიები“, იქაც აღარავინ იყო, გამობრუნდა და გადაჰხედა ცარიელს დიდს ზალას, სადაც მარტო პირდაღებული სოსიაღა იდგა...

— ვიშ! ქა?!. წარმოსთქვა კნეინამ და გაეშურა თავის სოსიათი კარებისაკენ.

ილო

სახალხო თეატრის ისტორია

(მასალები)

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 15)

1901 წლიდან სექციამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო, მისი კრებები მუდამ ავსდის აუდიტორიაში იმართებოდა და ყოველ სტენის მოყვარეს, რომელიც წინად განაპირებული იყო, შეძლება მიეცა, მონაწილეობა მიეღო არჩევნებში. წინანდელი სექციის არჩევნები უფრო შინაურულათ და ერთმანეთის ნაცნობობით ხდებოდა. ვერ შერიგებოდნენ იმ აზრს, რომ ხელოსნებსაც შეეძლოთ სექციის წევრობა, რომ თავდაპირველად ომათ ჩაუყარეს საძირკველი ამ სა-

ხალხო თეატრს. ეს შენიშნა კვირეულად ყურნალ „კვალის“ თანამშრომელმაც და 1901 წ. 4 თებერვლის ნომერში შინაურ მიმოხილვაში, სადაც, სხვათა შორის, სწერია: „საჭიროა მოღვაწე ინტელიგენტებმა დაიახლოვონ ხელოსნები და მათთან ერთად აკეთონ საქმე, თვარა ერთის მოსელით მეორე მიდიოდეს, ეს ვერაფერი თავდებია სახალხო საქმის რიგიანათ სამსახურისა“ და სხვ.

კაიარა დრომ და ხელოსნებმაც ნელნელა მოიკიდეს ფეხი სექციაში. რამდენიმე ხნის შემდეგ აირჩიეს გიორგი მარსაგოვი, სანდრო ბაქრაძე, 1903 წ. ივ. ღურგლიშვილი, გ. ჯაბაური. ეხლა უფრო მოწესრიგდა საქმე: ხელოსნები და ინტელიგენტები დამეგობრდნენ. სექციას ჭეშვდა ქარხნებიდან ამორჩეული ხალხი, რომელთაც დაგვლებული ქონდათ ბილეთების გაყიდვა მუშებში. წარმოდგენები უფრო და უფრო გახშირდა. ეოგელი დადგმული წარმოდგენა ავჭალის აუდიტორიაში მეორდებოდა რკინის გზის თეატრში. მაგალითად 1902 წ. დაიდგა 25 წარმოდგენა, 1903 წ. 38 მეტი, 1904 წ. 22.

ამ ხანებში რეჟისორის მოგვალებას ასრულებდა გ. ანანიაშვილი, მერე ნიკო გოცირიძე, ბოლოს შალვა დადიანი.

სექციის წევრებად იყვნენ: სოსო რომანიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, გასო ხახანაშვილი, სვიმონ ჯუღელი და ი. ძნელაშვილი. სცენის მოყვარეთა რიცხვსაც მოემატა ქ-ნი ანეტა ქიქოძე, ნინა ჩაგუნავა და ელენე ანდრონიკაშვილი, კაცთაგან: გრ. ანაშვილი, მიტრო ბაქრაძე, მიშა ინაშვილი და სხვ.

1905 და 1906 წ. წარმოდგენები შეჩერდა, იშვიათად და იმართებოდა, ისე რომ ამ ორი წლის განმავლობაში სულ გაიმართა 11 წარმოდგენა.

სექციის არჩევნებიც ბოლოს და ბოლოს ვედარ ხდებოდა, რადგანაც კრებების მოწვევა შეუძლებელი შეიქნა და ისევ ძველი სექციაა დარჩა ძალაში.

დადგა 1907 წ. სახალხო უნივერსიტეტმა თავის თეატრალურ სექციაში მიიწვია:

მარიამ დეშერია, სოფიო რომანიშვილი, განო ღურგლიშვილი, მიშა თუშმელაშვილი, გიორგი ჯაბაური, სვიმონ ჯუღელი და გასო რაკვიაშვილი. ამ ლდიდან დაერქვა მაო „სახალხო უნივერსიტეტთან არსებული თეატრალური სექცია“, ძველ სექციაში დარჩნენ: კოტე ხახანოვი, ნიკო გოცირიძე, ბესელიძე, გასო ხახანოვი და მიტრო ბაქრაძე.

რადგანაც ჯერ ზუბალაშვილების სახლი მზათ არ იყო, რომელშიაც უნივერსიტეტის სექციას უნდა ემოქმედნა, წარმოდგენების მართვა შეჩერდა.

და იმ ძველმა სექციამ კი 7 წარმოდგენა გამართა ავჭალის აუდიტორიაში.

სამსონ ტოროშელიძე ცდილობდა, რომ ერთის ძალით ემოქმედნა ამ ორად გაყოფილ სექციას. მართლაც ასე მოხდა: ნიკო გოცირიძე უნივერსიტეტის სექციამ რეჟისორად მიიწვია, სამსონ ტოროშელიძე სექციის წევრად, ოსებ ბესელიძემ სულ თავი დანება, კოტე ხახანოვს და გასო ხახანოვს ადრ სურდ-თ მუშაობა და თხოვნაზედ უარი განაცხადეს.

გ. ჯაბაური

წვრილი ამბები

თბ. დრ. საზ. გამგეობამ მარტის 23 კრება მოახდინა. იქონია თათბირი მსახიობთა წინადადების შესახებ. შეიწყნარა მათი მოთხოვნილება და დაადგინა: მომავალ სეზონის მოწყობა დაევალოს მსახიობთა მიერ არჩეულ ზემო დასახელებულ სამ პირს

მოსკოვში თებერვლის 13 უკვე გაიხსნა თეატრები და შეუდგნენ მუშაობას. საიმპერატორო თეატრები ამ ჟამად უკვე სახელმწიფო თეატრებად იწოდებ ან და მათ ხელმძღვანელობას წინანდელი დირექცია კი არა, მსახიობთა კოოპორაციის მიერ არჩეული კომისარი ტი ეწევა. უმთავრეს კომისარ ადმოსკოვის ყველა თეატრებისა დანიშნულია ჩვენი სასახელო მამულიშვილი ალ. სუბათაშვილი, საოპერო დასის ხელმძღვანელად-კი განთქმული ტენორი სობინოვი.

3. გუნიაის მაღლობის დღე საბოლოოთ გადაწყდა, რომ ქ. თბილისში უნდა შე დგეს შაბათს, 29 აპრილს სახელმწიფო თეატრში (წინანდელ სახაზინო) დილით და საღამოთი. საიუბილეო კომიტეტი დიდიხანია სამზადისს შ უდგა და იმედიც აქვს ღირსეულის გამოჩინებით მოაწყოს ზეიმი.

3. გუნიას საიუბელეო კომიტეტს განზრახული აქვს ვ. გუნიას თანხის მოგროვება ფართოდ მოაწყოს და ამ ფულიდან დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეს საჩუქრად მიართვას ქ. თბილისში სახლკარი.

მსახიობთა კრება 23 მარტს შესდგა ქ.

თბილისში. კრებამ ითათბირა ქართულ თეატრის საკითხებზე და დაადგინა უსათუოდ შესდგეს საპროფესიო კავშირი ქართველ მსახიობთა და ამისათვის დაჩქარებით მოწვეულ იქმნას ყველა ქართველ პროფესიონალი მსახიობი. ამასთანავე გადასწყვიტეს თბ. და სხვა დრ. საზოგადოებათა გამგეობაში ქართველი მსახიობნი მევიდნენ სრულ-უფლებიან წევრებათ და სეზონების წარმოება სრულიად გადავიდეს მათ ხელში. ყველა ამ საკითხთა მოსაწესრიგებლათ და გასაძღოლად მსახიობთ აირჩიეს თავის შორს ანდრონიკაშვილი კოწო, დადიანი შალვა, შალიკაშვილი ვალერიან.

✦ **პირველი მაისობა**, მუშათა საერთა შორისო დღესასწაული. წელს ჩვენშიც გაიმართება აპრილის 18. ძლივს ჩვენა და რუსეთში მუშა ხალხს აშკარად შეეძლება ეს დღე შესაფერის ზეიმით იდღესასწაულოს. როგორც რუსეთში ისევე ჩვენში დიდი მზადებაა.

„თეატრი და ცხოვრების“ ფონდის სასარგებლოდ! ამხანაგებო! გთხოვთ მიიღოთ ჩემგან მცირედი დახმარება ჟურნალ თეატრი და ცხოვრების ფონდისათვის. მედგრად დავიცვათ რუსეთის რესპუბლიკა და ტერიტორიალური ავტონომია საქართველოსი. დემოკრატიულ ფორმებში მოკაზმული (ვგზავნი 20 მან.) აქ. მ. არჯევანიძე

✦ ს. მერკვილაძისაგან—10 მან.,

✦ შაქრო ბერიშვილისგან—3 მან.

შემოსწირველთ მადლობას ვუძღვნით. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.

საჭიროა „სორაპანის“ სტამბაში გამოცდილი

ასოთ ამწყობნი

კარგ ოსტატს მიეცემა ჯილდოთ

100-120 მანეთი თვეში

„თეატრი და ცხოვრება“

ორი პრემიით წლიურად ღირს 8 მ., ნახევარი წლით 4 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „სორაპანის“ სტამბის კანტორაში მადათოვის კუნძ № 1, ფოსტით: Тифлис, ред „Театри да Цховреба“—Іос. Имедашвили.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

უცხო ლიტერატურა ლექსიონი შედგენ. **იოსებ იმედაშვილის** მიერ, მეორედ შევსეულ-შესწორებული. მოვარაყებული ყდით, ხელის მოწერით ღირს 2 მ. 50 კ. გაწერვა კიდევ შეიძლება: Тифлисъ. ред. „Театри да Цховреба“—Іос Имедашвили.

საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის (ავტონომისტთა) გაზეთი

„ხალხის თავისუფლება“

„(ხალხის ერთობის გაგრძელება)“

ივანე გომართლის მახლობელი და მუდმივი მონაწილეობით, ბარტიულ მუშაკთა თანამშრომლობით და **იოსებ იმედაშვილის** რედაქტორობით.

გაზეთი ჯერ ხნობით გამოვა კვირაში ორჯერ: **ორშაბათობით** და **ხუთშაბათობით** გაზეთის მთავარი მიზანია ავტონომისტების გაერთიანება, ერთობის განმტკიცება და საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის პოპულიარიზაცია ხალხში.

გაზეთის ფასი: წლის ბოლომდე 5 მან., თითო ნომერი-5 კ. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში „სორაპანის“ სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძული, № 1) ფოსტით: Тифлисъ ред. „Халхис Тависуфлэба“—Іос. Имедашвили (мадато. ост. № 1).

რედაქტორ გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**.

ახალი კლუბი 1 კვირის პრო. აპრილის 16-23

კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ორშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

სამშაბათი — საოჯახო საღამო

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

შაბ. — საოჯახო საღამო

კვირა — რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 ათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. $8^1/_2$ საათ. **შესას.** ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც 1 მ

დროებითი მთავრობის დადგენილების თანახმად გამოშვებულია

თავისუფლების სესხი

1917 წლისა

ამ სესხის ობლიგაციების ღირებულებაა 50, 100, 500, 1000, 5000, 10,000 და 25,000 მან. წლიურად შემოაქვთ 5 პროც., რაიც წელიწადში ორჯელ იძლევა, ერთი 16 მარტს, მეორე 16 ენკენისთვეს.

სესხი გამოშვებული იქნება 5 წ. მისი ობლიგაციების გამოცემა მოხდება ყოველ წელს, 1922 წლიდან დაწყებული.

სესხზე ხელის მოწერა დაიწყება 6 აპრ.-დან და გასტანს 31 მაისამდე 1917 წ.

სახელმწიფო ბანკების კანტორებსა და განყოფილებებში,
მუდმივ და საველე ხაზინებში,
სახელმწიფო შემნახველ კასებში,
წვრილი კრედიტის დაწესებულებებში,
კერძო კომერციულ ბანკებში,
ქალაქის საზოგადო ბანკებში და წვრილ საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში და იმ საერობო სამმართველოებში, რომელთა შესახებ ცალკე იქნება განცხადება.

ხელმოსაწერი ფასებია

85 მან. 100 მან,

რომელთაც დაერთობათ ამ წლის მარტ. 16 პროცენტები.

ობლიგაციის ღირებულობა—ფასი, ერთ დროულად უნდა აქმნეს გადახდილი. იმ კვიტანციების (სანამ ნასყიდი ობლიგაციები ჩაჰბარდება მყიდველს) და აგრეთვე ობლიგაციის საშუალებით შეიძლება სესხის აღება. ამ შემთხვევაში, კვიტანციები ან ობლიგაციები უნდ წარედგინოს იმ სახელმწიფო ბანკში და ხაზინაში, სადაც ასეთი ოპერაციები—(სესხი) სწარმოებს, და მიეცემა ობლიგაციის ღირებულობის 75%, წლიური $5\frac{3}{4}$% შეღავათიანი პროცენტით, რომელიც, ესე იგი, სესხის აღება, განთავისუფლებულ იქმნება ყოველგვარ სახელმწიფო გადასახადებისაგან, რაიც საზოგადოთ შემოღებულია მიმდინარე ანგარიშით და თამასუქით—ვადიან სესხისა.

ადებულ სესხის განაღდება შეიძლება აგრეთვე 5% სავალდებულო სახელმწიფო ქაღალდების წარდგენით წლიურ 5% გამოკლებით.

შეძენილი ობლიგაციები მიიღება შესანახად სახელმწიფო ბანკში და ხაზინაში, უფასოდ: სამაგიერო დოკუმენტი, რომელიც მიეცემა ობლიგაციის პატრონს, საღერბო გადასახადისაგან განთავისუფლებულია. (8—651—2)

ტფილისი „ხორაპანი"